საჯარო სამართლის იურიდიული პირი

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი

საქპატენტი

ქ. მცხეთა "11" 11 2013 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 1577/03

სასაქონლო ნიშანზე სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნის რეგისტრაციის თაობაზე

2013 წლის 28 ოქტომბერს N 74509/03 განაცხადით ფიზიკურმა პირმა არუთინ პამბუხჩიანმა (მის: რატილის ქ. 37, თბილისი. პ/ნ 01011021197) მოითხოვა სასაქონლო ნიშანზე „Fujiyama" + გამოსახულება (რეგ. N 24247) სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნის ორი წლის ვადით სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნათა რეესტრში რეგისტრაცია. სასაქონლო ნიშანი „Fujiyama" + გამოსახულება (რეგ. N 24247) საქპატენტში რეგისტრირებულია 11.11.2013 წელს და მისი მოქმედების ვადა განისაზღვრება 11.11.2023 წლამდე. სასაქონლო ნიშანი რეგისტრირებულია მე-11 და 35-ე კლასის საქონლისა და მომსახურების ჩამონათვალის მიმართ. არსებული გარემოებების შესწავლის შედეგად და „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 52-ე მუხლის, „ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებულ სასაზღვრო ღონისძიებათა შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლისა და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის" დებულების დამტკიცების შესახებ "საქართველოს მთავრობის 2010 წლის 3 ივლისის N181 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. სასაქონლო ნიშანზე „Fujiyama" + გამოსახულება (რეგ. N 24247) დარეგისტრირდეს სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნა სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნათა რეესტრში მე-11 კლასის რეგისტრირებული საქონლის ჩამონათვალის მიმართ ორი წლის ვადით (მოთხოვნის რეგისტრაციის N 426), მოთხოვნის რეგისტრაციის თარიღი 11.11.2013).

სათაო ოფისი: 3300 ქ. მცხეთა, ანტიოქიის ქ. №5; ტელ.: (+995 32) 2252533; ტელ./ფაქსი: (+995 32) 2988419
გამომცემლობა: 0179 ქ. თბილისი, ნინო რამიშვილის ქ. №31; ტელ.: (+995 32) 2252796
E-mail: info@sakpatenti.org.ge
www.sakpatenti.org.ge

2. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქპატენტთან არსებულ სააპელაციო პალატაში კანონით დადგენილი წესით სამი თვის ვადაში ან მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: მცხეთა, სამხედროს N 17) ერთი თვის ვადაში.

თავმჯდომარე ირაკლი ღვალაძე

ეგზავნება: საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტს; არუთინ პამბუხჩიანს (მის: რატილის ქ.37, 0142 თბილისი, საქართველო).

ასლი დედანთან სწორია
"11" 11 2013 წ.
ხელმოწერა

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი „საქპატენტი“

ინფორმაცია სასაქონლო ნიშნის შესახებ:

ნიშანი:

რეგისტრაციის N 24247

მფლობელი: პამბუხჩიანი არუთინ

მისამართი: რატილის ქ.37, 0142, თბილისი, საქართველო

კლასი:

11 - განათების, გათბობის, ორთქლწარმოქმნის, საკვები პროდუქტის თბური დამუშავების, გასაცივებელი, საშრობი, ვენტილაციის, წყალგამანაწილებელი და სანიტარულ-ტექნიკური მოწყობილობები.

35 - რეკლამა; მართვა საქმიან სფეროში; ადმინისტრირება საქმიან სფეროში; საოფისე სამსახური.